კახეთის რეგიონის ლანდშაფტები,ბუნების ძეგლები და მათი ტურისტული ღირებულება

ანა არსენაშვილი

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179, საქართველო

კახეთი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ადმინისტრაციული მხარეა, რომელიც ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების - კახეთის, ჰერეთის (ნაწილობრივ) და თუშეთის ტერიტორიებს მოიცავს. ეს მხარე მდიდარია სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ძეგლებითა და გამორჩეულია მრავალფეროვანი ბუნებით. აქ მრავლადაა უძველესი ნამოსახლარები, საკულტო ნაგებობები (ეკლესია-მონასტრები, ტაძრები), ციხე-კოშკები, ხელუხლებელი ტყის მასივები, ჩანჩქერები, ალპურ ტბები და სხვა ბუნებირივი თუ კულტურული ღირშესანიშნაობები. უძველესი ისტორია, საინტერესო კულტურა, შთამბეჭდავი ბუნება და კურორტები კახეთს ძალიან მიმზიდველს ხდის სასიამოვნო დასვენების მსურველთათვის და მოგზაურობის მოყვარულთათვის. ნაშრომში განხილულია კახეთის რეგიონის დამახასიათებელი ტიპის ლანდშაფტები,ნიადაგური საფარი. გამორჩეული სანახაობები და მათი ღირებულება ტურისტული კუთხით. თემის მიზანია წარმოაჩინოს აქამდე უცნობი გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობები,მათი მნიშვნელობა დღევანდელ პერიოდში. დროთა განმავლობაში მომხდარი ლანდშაფტური ცვლილებები მდინარეთა ხეობებსა და ტყის მასივებში. კახეთის უნიკალური ფლორის და ვარიაციული ლანდშაფტების წარმოჩენა მთავარ მიზანს წარმოადგენს. კახეთი მრავალგვარი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, რასაც განაპირობებს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, გეოლოგიური აგებულება და რელიეფის ნაირგვარობა. ცხადია, ბუნებრივი პირობების მრავალგვარობაზე დიდ გავლენას ახდენს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი და სამხრეთისაკენ გაშლილი ვაკე და გორაკ-ბორცვიანი რელიეფი. ნაშრომში მოცემული მასალა გვაჩვენებს კახეთის ტურისტულ ღირებულებას,რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ გეოგრაფიაზეც.